

შპს “ავტო გალერი”

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის  
არააუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

**შინაარსი**

|                                          |   |
|------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ..... | 3 |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება .....       | 4 |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება .....  | 4 |

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

|                                                                             |    |
|-----------------------------------------------------------------------------|----|
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                                  | 5  |
| 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა ..... | 5  |
| 3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები .....                 | 12 |
| 4. ფული და ფულის ექვივალენტები .....                                        | 13 |
| 5. შემოსავლები .....                                                        | 13 |

**შპს „ავტო გალერი“ - მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული  
ფინანსური ანგარიშგება**

შპს „ავტო გალერის“-ს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული  
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

|                                                        | 31-12-2020       | 31-12-2019       |
|--------------------------------------------------------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                                        |                  |                  |
| მიმდინარე აქტივები                                     |                  |                  |
| ფულადი სახსრები                                        | 448,321          | 286,089          |
| საგადასახადო აქტივი                                    | -                | 32,669           |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                             | 665,319          | 942,614          |
| სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები                      | 3,187,879        | 739,172          |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>                       | <b>4,301,519</b> | <b>2,000,545</b> |
| <br>                                                   |                  |                  |
| ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში                     | 31,689           | -                |
| ძირითადი საშუალებები                                   | 2,839,287        | 548,912          |
| არამატერიალური აქტივები                                | 196,364          | -                |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                       | <b>3,067,340</b> | <b>548,912</b>   |
| <b>სულ აქტივები</b>                                    | <b>7,368,858</b> | <b>2,549,457</b> |
| <br>                                                   |                  |                  |
| <b>ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>              |                  |                  |
| მოკლევადიანი ვალდებულებები                             |                  |                  |
| მიღებული სესხები                                       | 2,365,661        | -                |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                          | 2,403,304        | 2,396,042        |
| საგადასახადო ვალდებულებები                             | 29,001           | 22               |
| ანარიცხები                                             | -                | -                |
| დაქირავებულ მუშათა გასამრჯელოები                       | 91,901           | 19,828           |
| სახელშეკრულებო ვალდებულებები                           | 774,971          | 294,106          |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                  | <b>5,664,838</b> | <b>2,709,998</b> |
| <br>                                                   |                  |                  |
| გრძელვადიანი ვალდებულებები                             |                  |                  |
| მიღებული სესხები                                       | 1,957,047        | -                |
| დაქირავებულ მუშათა გასამრჯელოები - გრძელვადიანი ნაწილი | -                | -                |
| ფინანსური იჯარი ვალდებულება                            | -                | -                |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                  | <b>1,957,047</b> | <b>-</b>         |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                               | <b>7,621,885</b> | <b>2,709,998</b> |
| <br>                                                   |                  |                  |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                               |                  |                  |
| საწესდებო კაპიტალი                                     | 26,900           | 26,900           |
| გაუნაწილებელი მოგება                                   | (279,927)        | (187,442)        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                                    | <b>(253,027)</b> | <b>(160,542)</b> |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>                   | <b>7,368,858</b> | <b>2,549,457</b> |

გიორგი კობახიძე

დირექტორი

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და  
გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

|                                                 | 2020             | 2019             |
|-------------------------------------------------|------------------|------------------|
| შემოსავალი                                      | 14,917,435       | 13,794,846       |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება           | (13,833,315)     | (12,970,304)     |
| <b>საერთო მოგება</b>                            | <b>1,084,120</b> | <b>824,541</b>   |
| ადმინისტრაციული ხარჯები                         | (694,524)        | (233,170)        |
| კომერციული ხარჯები                              | (2,203)          | (48,007)         |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                         | (144,290)        | (722,646)        |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები                     |                  | 188,404          |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ზარალი</b> | <b>243,103</b>   | <b>9,123</b>     |
| ფინანსური შემოსავალი                            | 680              | 2,487            |
| ფინანსური ხარჯები                               | (336,269)        | (19,803)         |
| <b>ზარალი დაბეგვრამდე</b>                       | <b>(92,485)</b>  | <b>(8,193)</b>   |
| მოგების გადასახადის ხარჯი                       |                  | -                |
| <b>წლის ზარალი</b>                              | <b>(92,485)</b>  | <b>(8,193)</b>   |
| <b>სხვა სრული შემოსავალი</b>                    |                  | <b>-</b>         |
| გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში            | (187,442)        | (179,249)        |
| გაცემული დივიდენდები                            |                  | -                |
| <b>გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს</b>          | <b>(279,927)</b> | <b>(187,442)</b> |

გიორგი კობახიძე

დირექტორი

**შპს „ავტო გალერი“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**  
მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

---

**1. ზოგადი ინფორმაცია**

შეზღუდული პასუხისმგებობის საზოგადოება „ავტო გალერი“, საიდენტიფიკაციო ნომრით 405232957 წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომელიც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში დარეგისტრირდა 16.10.2017 წელს. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია - საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, შალვა ნუცუბიძის ქ., N 201, სართული 5, ბ. N13 .

2018-2017 წწ კომპანიის წილის მფლობელები არიან: (01005020486) პეტრე წაქაძე -5%; (01008058041) ნიკა კოხოძე-80%; (01026015615) გიორგი კობახიძე -10% (01005030744) ნოდარ მშვილდაძე- 5%.

2020 წელს კომპანიის ძირითადად საქმიანობას წარმოადგენდა ავტომობილებით რელიზაცია.

**შვილობილი კომპანია**

კომპანია შემდეგი საწარმოების მშობელი კომპანიაა (ერთად მოხსენიებული „ჯგუფად“), რომლებიც შესულია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში . ყველა შვილობილი კომპანია რეგისტრირებულია და მდებარეობს საქართველოში:

|                         | საიდენტიფიკაციო კოდი | წილი % | წელი       |
|-------------------------|----------------------|--------|------------|
| შპს სეგრექს ავტო გალერი | 405270727            | 50%    | 15.05.2018 |
| შპს თეგტა ქარ რენტი     | 406207322            | 100%   | 26.10.2018 |
| შპს ია თეგეტა           | 404587229            | 51%    | 21.10.2019 |

**2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა**

**2.1. წარდგენის საფუძველები**

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

## **2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

### **2.2. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში**

მეკავშირე საწარმო ისეთი საწარმოა, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ამ პოლიტიკაზე ინვესტორის კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

მნიშვნელოვანი გავლენის განსაზღვრაში გამოყენებული მოსაზრებები შეესაბამება შვილობილ კომპანიებზე კონტროლის განსაზღვრისთვის საჭირო მოსაზრებებს. ჯგუფის ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში აღირიცხება კაპიტალ-მეთოდით.

კაპიტალ-მეთოდის ფარგლებში, შვილობილ საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად თვითღირებულებით აღირიცხება. ინვესტიციის საბალანსო ღირებულება კორექტირდება, რომ ასახოს მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში ჯგუფის მიერ ფლობილ ნეტო აქტივებში შეძენის თარიღიდან მომხდარი ცვლილებები.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ასახავს მეკავშირე საწარმოს ოპერაციების შედეგებში ჯგუფის წილს. ამგვარი საინვესტიციო ობიექტების სხვა სრულ შემოსავალში ნებისმიერი ცვლილება წარმოდგენილია ჯგუფის სხვა სრული შემოსავლის ნაწილის სახით. ამასთან, როდესაც მეკავშირე საწარმოს კაპიტალში პირდაპირ არის აღიარებული ცვლილება, ჯგუფი ნებისმიერ ცვლილებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მის წილს აღიარებს კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში. ჯგუფსა და მეკავშირე საწარმოს შორის ოპერაციებიდან მიღებული არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აღმოიფხვრება, მეკავშირე საწარმოში ჯგუფის წილის შესაბამისად.

### **2.3. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

#### **ა) შეფასებისა და წარდგენის ვალუტა**

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

#### **ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება**

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომელის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები

გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის

შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში **2.**

**ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

|                            | აშშ დოლარი | ევრო   |
|----------------------------|------------|--------|
| 2020 წლის 31 დეკემბრისთვის | 3.2766     | 4.0233 |
| 2019 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.8677     | 3.2095 |

#### **2.4. ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

#### **2.5. ძირითადი საშუალებები**

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო

## **2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

### **სასარგებლო მომსახურების ვადები**

|                         |        |
|-------------------------|--------|
| ელექტრონული მოწყობილობა | 5 წელი |
| კომპიუტერები            | 5 წელი |
| ინვენტარი               | 5 წელი |
| სხვა                    | 5 წელი |

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

## **2.6. არამატერიალური აქტივები**

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს. ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 4 წლით.

## **2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტისას მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში.

### **2.7. ფინანსური ინსტრუმენტები**

#### ***თავდაპირველი აღიარება და შეფასება***

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალ ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალ ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

#### ***სავაჭრო და სხვა მოთხოვნები***

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

#### ***სავაჭრო ვალდებულებები***

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

### 2.8. გადასახადები

**მოგების გადასახადი** - მოგების გადასახადი განისაზღვრება საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ 2017 წლის 01 იანვრიდან კომპანიების მოგება, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, არ იბეგრება მოგების გადასახადით. გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ დივიდენდის სახით განაწილებული მოგება.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს გარკვეული ოპერაციების, რომლებიც განიხილება დივიდენდების ფარულ განაწილებად (მაგალითად, ოპერაციები არასაბაზრო ფასით, ხარჯები ან საქონლის და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან) მოგების გადასახადით დაბეგვრას. მსგავსი ოპერაციების დაბეგვრა ექვემდებარება აღრიცხვას საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების ანალოგიურად და წარმოდგენილია „სხვა ხარჯების“ სახით „სხვა საოპერაციო ხარჯების“ შემადგენლობაში, მოგებაში ან ზარალში ანგარიშგებაში.

### 2.9. მარაგები

კომპანიის მარაგს წარმოადგენს მხოლოდ გასაყიდად გამიზნული ავტომობილები.

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა ანაზღაურებად ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ გასაყიდ ღირებულებას საქმიანობის ჩვეულებრივ განხორციელების პროცესში, გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯის გამოკლებით. სათადარიგო ნაწილების და სხვა მარაგების ხარჯი განისაზღვრება შეწონილი საშუალო ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენით და მათ საჭირო ადგილმდებარეობაზე და შესაბამის მდგომარეობაში მოყვანისთვის გაწეულ ხარჯებს. ავტომობილების ღირებულება განისაზღვრება სპეციალური იდენტიფიკაციის საფუძველზე

## **2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულის თანახმად, მარაგის თითოეული ელემენტის ღირებულება განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებული მარაგის ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საშუალო შეწონილი სიდიდისა და იმ ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საფუძველზე, რომლებიც შეიძინეს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

### **2.10. შემოსავალი**

შემოსავალი აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება და შემოსავალი შესაძლოა ობიექტურად იქნას შეფასებული. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები გადახდების სამართლიანი ღირებულებით, ნებისმიერი სავაჭრო ამონაგების, დისკონტირების, მოცულობითი ფასდაკლებების და დღგ-ს გამოკლებით.

**შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან** - აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ საქონელთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და საკუთრების უფლება გადაეცა კლიენტს და კლიენტი მიიღებს მიწოდებას. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

**შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან** - აღიარდება მომსახურების გაწევის მომენტიდან.

### **2.11. ხარჯები**

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ხარჯები აღიარდება თუ :

-აღიარდება აქტივების შემცირება ან ვალდებულებების ზრდა (მაგალითად, ცვეთის, ან თანამშრომელთათვის ხელფასის დარიცხვა).

-საწარმოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება მაშინ, თუ დანახარჯების გაწევისა და შემოსავლების ცალკეული მუხლების მიღების პროცესებს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. ეს არის ამონაგებისა და დანახარჯების შესაბამისობის პრინციპი. იგი გულისხმობს ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციით, ან მოვლენით გამოწვეული ხარჯებისა და ამონაგების ერთდროულ აღიარებას.

კომპანიას საანგარიშო პერიოდში აქვს საოპერაციო იჯარა. კომპანია იჯარის კლასიფიკაციას ახდენს იჯარის დასაწყისში და არ იცვლება მისი პერიოდის განმავლობაში.

## **2.12. კაპიტალი**

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის თანხა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება საწესდებო კაპიტალის სახით, კომპანიის კაპიტალში, იმის გათვალისწინებით, რომ ის შეტანილი იქნება კომპანიაში მესაკუთრეთა მიერ.

შვილობილ კომპანიის კაპიტალში წილის ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე, აღრიცხება როგორც კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაცია. თუ ჯგუფი დაკარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი წყვეტს შესაბამისი აქტივების (გუდვილის ჩათვლით), ვალდებულებების, არასაკონტროლო წილის და კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებულ მოგებას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის აღიარება ხდება რეალური ღირებულებით.

## **3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები**

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

|                                        | 31 დეკემბერი, 2020 | 31 დეკემბერი, 2019 |
|----------------------------------------|--------------------|--------------------|
| ნაღდი ფული სალაროში                    | 270.10             | 294                |
| ფული საბანკო ანგარიშებზე               | 448,051            | 285,795            |
| <b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b> | <b>448,321</b>     | <b>286,089</b>     |

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                       | 31 დეკემბერი, 2020 | 31 დეკემბერი, 2019 |
|---------------------------------------|--------------------|--------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                    | 117,952            | 896,449            |
| გადახდილი ავანსები                    | 547,053            | 46,165             |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები          | 314                |                    |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b> | <b>665,319</b>     | <b>942,614</b>     |

6. ძირითადი საშუალებები

|                                 | 31 დეკემბერი, 2020 | 31 დეკემბერი, 2019 |
|---------------------------------|--------------------|--------------------|
| სატრანსპორტო საშუალებები        | 2,633,998          | 517,284            |
| სხვა ძირითადი საშუალებები       | 205,289            | 31,628             |
| <b>სულ ძირითადი საშუალებები</b> | <b>2,839,287</b>   | <b>548,912</b>     |

7. შემოსავლები

დებიტორული ანგარიშების აღიარება ხორციელდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობოდ ხდება.

სახელშეკრულებო ვალდებულებები ითვლება კლიენტებისგან მიღებულ საზღაურად და ის წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, გადასცეს საქონელი ამ კლიენტებს.

|                        | 2020              | 2019              |
|------------------------|-------------------|-------------------|
| საქონლის გაყიდვიდან    | 14,147,437        | 12,504,497        |
| მომსახურების გაწევიდან | 769,998           | 493,886           |
| <b>სულ შემოსავლები</b> | <b>14,917,435</b> | <b>12,998,383</b> |

## 8. რეალიზებული პროდუქციის ღირებულება

|                                              |                     |                     |
|----------------------------------------------|---------------------|---------------------|
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება             | (13,512,095)        | (12,970,304)        |
| გაყიდული მომსახურების ღირებულება             | (321,220)           |                     |
| <b>რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</b> | <b>(13,833,315)</b> | <b>(12,970,304)</b> |

## 9. ადმინისტრაციული ხარჯები

|                                |                  |                  |
|--------------------------------|------------------|------------------|
| დასაქმებულთა ანაზღაურება       | (372,560)        | (189,442)        |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი     | (45,938)         | (5,742)          |
| იჯარის ხარჯი                   | (276,025)        | (37,986)         |
| <b>ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>(694,524)</b> | <b>(233,170)</b> |

## 10. ფინანსური ხარჯები

|                                                                                                   |                  |                 |
|---------------------------------------------------------------------------------------------------|------------------|-----------------|
| საპროცენტო ხარჯი                                                                                  | (115,554)        | (3,536)         |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და<br>სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | (36,165)         | (16,267)        |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                                           | (184,549)        |                 |
| <b>ფინანსური ხარჯები</b>                                                                          | <b>(336,269)</b> | <b>(19,803)</b> |